

ლელა ოჩიაური

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესიონალური

ადამიანები, ადგილები, დრო

კინოში (საერთოდ, ხელოვნებაში) მოქმედების ადგილი თუ სამოქმედო არე, ტერიტორია, სივრცე, გარემო, ქალაქი, სოფელი, ქუჩა მოვლენებში „ბუნებრივი“ და „გარდუვალი“ ჩართულობისა და „ფიზიკური“ დატვირთვის გარდა, ავტორის ჩანაფიქრის, იდეის ვიზუალური გამოხატვის მხატვრულ სახედ, მეტაფორად, სიმბოლოს მნიშვნელობით განისაზღვრება.

თავისთავადაც, არაფერი ისე ზუსტად არ გამოხატავს დროს, ეპოქას, ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ მდგომარეობას, როგორც არქიტექტურა. საერო, საკულტო, ფუნქციური, საზოგადოებრივი და ნიშნულებისა თუ პრივატული. ის დროსთან ერთად ცვალებადიც და მარადიულიცაა. სამუდამოდ აღბეჭდავს მოვლენებს, ამა თუ იმ სახით გამოხატავს და ინახავს მათ, ამა თუ იმ მდგომარეობაში, ფორმით მკაფიოდ მეტყველებს სახელმწიფო მართვის ფორმებზე, მშვიდობიან ცხოვრებასა თუ ექსტრემალურ რეალიებზე.

კინემატოგრაფი, როგორც ვიზუალური ხელოვნების ყველაზე „რეალური“, „ცხოვრებასთან მიახლოებული“ დარგი, რომელიც, მართალია, ახალ მხატვრულ სინამდვილედ გარდასახულ, მაგრამ რეალურ გარემოში (თვით ყველაზე ორეალურსა და პირობითშიც კი), რეალურ განზომილებებსა და ქმედების პროცესში არსებობას ასახავს, ნაცნობ თუ უცნობ, „საცნობი“ თუ განკუნებული მახასიათებელი ნიშნებით

გამოსახულ მოცემულობებში. კინოს ამ თავისებურებასა და შესაძლებლობას.

თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ: „დღეს, როცა ასე იოლი გახდა ფოტოსა და ვიდეოს გადაღება, დამუშავება და მინდება, ბევრს, ჩემი აზრით, შეცდომით ჰგონია, რომ ფოტო და ვიდეო ქალაქის ასახვის (დროისა და სივრცის დაფიქსირების) ყველაზე საუკეთესო საშუალებაა. არ უნდა დაგვა-ვიწყდეს, რომ ტექსტებში ქალაქების ასახვის ტრადიცია უძველესია და ლამის თავად ქალაქური ცივილიზაციის ტოლია.

მწერალი კამერაზე მეტს ხედავს, რადგან მწერლის მზე-რა ფასადებს მიღმაც აღნევს, რადგან მწერლის თვალსა და ყურს არც ყოფითი ცხოვრების ძნელადმოსახელთებელი ამ-ბები თუ რთული ურთიერთობები გამორჩება, რაც ასევე ქა-ლაქური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია, რომ არაფერი ვთქვათ მწერლის მიერ დაფიქსირებულ დროზე, რომელიც ბევრად უფრო დიდ ინტერვალს მოიცავს, ვიდრე ფოტოზე გაყინული წამი ან კინოფირზე გადატანილი წუთები“ (არჩევა-დე, 2021).

ასე იქმნებოდა და იქმნება ქალალდზე, ტილოზე თუ ფირზე აღბეჭდილი საქართველოს პორტრეტი, რომელშიც ნაც-ნობი შტრიხები და დეტალებიცაა (საიმიჯო ფილმებისა თუ ალბომ-ლია ბარათების მსგავსად) და უცნობი ნაგებობები თუ პანორამები, რომლებიც მკვეთრად და დაუფარავად გა-მოხატავენ რეჟისორის ჩანაფიქრს ადამიანების სულიერი ცხოვრების შესახებ.

„ქართულ პოეზიაში ერთ-ერთ პირველ ურბანისტულ ტექსტად მიჩნეულია პაოლო იაშვილის ლექსი „ფარშავანგები ქალაქში“. მასში ტრაგიკული სიმძაფრითაა წარმოდგენილი ქალაქის აპოკალიფსური ხილვა. გურამ ასათიანის შეფა-სებით, პალუცინაციებით ალმოდებული ქალაქი პოეტს „წარმოუდგება მისტიკურ კოცონად, რომელშიც უმწეო მშვენიერ ფრინველებთან ერთად სამუდამოდ იწვოდნენ პო-ეტის წმინდათანმინდა ილუზიებიც, და ეს სისხლიანი სასაკ-

ლაო, როგორც მთვრალ ხალხს, ისე იზიდავდა პოეტის შთა-გონებას“ (ქალაქის მითი ფრანგულ და ქართულ სიმბოლის-ტურ ესთეტიკაში, 2017).

„ნაცნობი“ თუ უცნობი თბილისისა და ქვეყნის სხვა ადგილების ჩვენებას ქართულ მწერლობაში, მხატვრობაში, კინოში სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული მიზეზები ჰქონდა. ფილმებში სხვადასხვაგვარად იხატებოდა უცნობი თუ ამოსაცნობი ნიშნებით შექმნილი გარემო. ორივე შემთხვევაში, ცხოვრების ვიზუალური ანაბეჭდები კინომეტყველების ერთ-ერთ გამორჩეულ და თავისთავად კოდირებულ სისტემად ჩამოყალიბდა, რომლის დაშიფვრისა და გაშიფვრის შესაძლებლობა დროსთან, სახელმწიფოს ნგრევასთან, შენებასთან, ისევ ნგრევა-შენებასთან, სისტემის ცვლილებასა და სტაბილურობასთან ერთად თავიდან აღმოსაჩენი იყო.

დროის გასვლასთან ერთად იცვლება ჩვენი დამოკიდებულება როგორც ისტორიული სინამდვილის, ასევე ეკრანზე მისი ფიქსირების მიმართაც. ის კინონიმუშები, რომლებში მოქმედებაც ხდება, ვთქვათ, XX საუკუნის დასაწყისში – დაწყებული ვასილ ამაშუკელის „აკაკი წერეთლის მოგზაურობიდან“, ივანე პერესტიანის „სამი სიცოცხლიდან“, „არსენა ჯორჯიაშვილიდან“, ალექსანდრე წუწუნავას „ხანუმადან“, კოტე მარჯანიშვილის „გოგი რატიანიდან“, კოტე მიქაბერიძის „ჩემი ბებიადან“, ნუცა ღოღობერიძის „ბუბადან“ თუ მიხეილ ჭიაურელის „საპადან“ – მოქმედების ადგილები რეალური, „იმდროინდელი“ ქალაქები და სოფლებია, რომლებიც ქმნიან ქალაქების, გარემომცველი სინამდვილის იდენტურ სახეს.

საბჭოთა ეპოქაში, არსებობის პირველი წლებიდან, როდესაც ახალი სახელმწიფოს შენება იწყებოდა და როდესაც, როგორც უწოდებენ – პროპაგანდის მძლავრი მანქანა ამუშავდა – აქტუალური და საჭირო გახდა ამ მშენებლობის პირდაპირი და გადატანითი შინაარსის ვიზუალური თუ ფაქტობ-

რივი დადასტურება და არა მხოლოდ ამბის თხრობის დონეზე, არამედ, უშუალო პროცესის გათვალისწინებით.

ამიტომ, იყო თუ არა აუცილებლობა, მხატვრული ჩანაფიქრის ლოგიკიდან გამომდინარე, ფილმებში აღხეჭდავდნენ მშენებარე ქალაქების, სახლების, ქუჩების, ქარხნების, კაშხლების, გზების, ხიდებისა და ა.შ. შთამბეჭდავ სურათებს. ეს მშენებლობები და მშენებარე ნაგებობები, ერთი მხრივ, რეალურ ფაქტებს ასახავდნენ, ზოგჯერ გამონაგონსაც და ყველა შემთხვევაში, ახალი სახელმწიფოს შენების იდეოლოგიურ მეტაფორებს წარმოადგენდნენ.

და თუ ასეთი ფაქტი არ იყო, ის უნდა გამოეგონათ. მაგალითად, ასე მოხდა მიხეილ კალატოზიშვილის „ჯიმ შვანთეს“ ფინალში. ტრაქტორებსა და ბულდოზერებს სვანეთისკენ გზა გაჰყავთ. ის ახალი ცხოვრების გზაა, რომელმაც ძევლის ყველა კედელი უნდა დაანგრიოს და ადამიანებს დიდ სამყაროში სივრცე გაუხსნას. სვანეთისკენ გზის გაყვანის ფაქტი, მით უფრო ორაზროვანი იყო, რადგან 1928-1929 წლებში ეს მშენებლობა დაწყებული არ იყო.

საერთოდ, გზის მეტაფორა ერთ-ერთი ტირაჟირებული მეტაფორაა, რომელსაც მიმართავდა და იყენებს ბევრი რეჟისორი მსოფლიო კინოში. გზა ყოველთვის სადღაც მიდის, ზოგჯერ აქვს გეზი და საბოლოო ადგილი, ზოგჯერ არა აქვს.

საბჭოთა კინოს პირველ წლებში გზა აუცილებლად ნათელი მომავლისკენ მიიჩევდა – განსაკუთრებით, სოფლიდან ქალაქისკენ (რადგან სახელმწიფო კურსი, როგორც ცნობილია, ასეთი იყო). ასე, ქალაქისკენ მიმავალი გზაა, ვთქვათ, დავით რონდელის „დაკარგულ სამოთხეში“, როდესაც ფინალში, შეყვარებული წყვილი სოფელს ტოვებს და ქალაქისკენ მიემართება, რომლის შორეული პანორამა ქარხნის კვამლიანი მილის გარშემოა კონცენტრირებული. ასეთივე მილები, ლიანდაგებზე მქროლავი მატარებლები, მშენებარე ქალაქები და აშენებული კურორტებია ასახული ნუცა ღოლობერიძის „ბუბაში“.

კოტე მარჯანიშვილის „გოგი რატიანი“ ორ ქალაქშია გა-დაღებული – გორსა და თბილისში. მიწისძვრის შედეგად დანგრეული გორი, მისი რეალური კადრები რეჟისორისთვის ძველი ცხოვრების ნგრევის მეტაფორადაა ქცეული. თბილი-სი – ძველი ქუჩებითა და სახლებით – ორ ნაწილადაა გაყოფილი. ერთი – ძველ, ვადაგასულ და დასანგრევად განწირულ ბურუუაზიას „ეკუთვნის“, მეორე – იმის მიუხედავად, რომ ლარიბული ნახევრადსარდაფებისა და ჩაბნელებული ინტერიერების, ვიწრო ქუჩაბანდებისა და ფარდულების გარემოშია მოქცეული, ახალი, ნათელი და ბედნიერების იდეის მატარებელია.

ამავე დროს, ესაა ნამდვილი თბილისის ძველი და ნაცნობი უბნები, რუსთველის პროსპექტი დღემდე შემორჩენილი ნაგებობებით, მთავარმმართებლის (პიონერთა) სასახლე; ეროვნული გალერეა, რომლის კიბეზეც – ტიციან ტაბიძე, შალვა ქიქოძე და კოტე ფოცხვერაშვილი დგანან.

ალექსანდრე ნუწუნავას „ხანუმაში“, თავადი ფანტიაშვილი ქეიფ-ქეიფით მთელ ძველ თბილის მოივლის, ორთაჭალის ბაღებიდან, რუსთაველის პროსპექტის გავლით, მთაწმინდის ვიწრო ქუჩებამდე.

50-იანი და 60-იანი წლების ქართულ კინოში (ისევე როგორც, ვთქვათ, 60-იან წლებში ფრანგული „ახალი ტალლის“ რეჟისორების ფილმებში) მთავარ ტენდენციად იქცა ქალაქის (განსაკუთრებით, თბილისის) ყველაზე ნაცნობი და სპეციფიკური ადგილების დაფიქსირება. აღარაფერს ვამბობ მთაწმინდაზე და იქ დღესაც მოქმედ, მაშინ პოპულარულ გალერეებიან რესტორნზე, ღამის თბილისის ხედებით, რომლის გამჭოლ თაღებქვეშ, რომელიღაც ეპიზოდი თითქმის ყველა იმდროინდელ ფილმშია გადაღებული.

ილებდნენ, რა თქმა უნდა, რუსთაველის პროსპექტს (ვიღაც დადიოდა ერთი პუნქტიდან მეორისკენ, ან სეირნობდა და ან მანქანით წრეებს უვლიდა), გამოცემლობის შენობას კოსტავას (მაშინდელი ლენინის) ქუჩაზე, მთაწმინდის ხედებ-

სა და ტელეანძას, რკინიგზის სადგურს. მაშინ მშენებარე ვა-ჟა-ფშაველას პროსპექტს ან სანაპიროს, აუცილებლად ქორ-ნინების სახლზე კონცენტრირებით.

„ქალაქი გაიაზრება „ხელოვნურ“ სივრცედ, რომელშიც დარღვეულია ადამიანთა შორის ემოციური კავშირები. მან შექმნა საზოგადოების, როგორც ერთიანი სოციალური სტრუქტურის მქონე ერთეულის, ილუზორული იდეა. სინამ-დვილები, კი უნიფიცირებულ და დეპერსონალიზებულ სო-ციუმში ადამიანი მარტოსული, გაუცხოებული და გაორებუ-ლია. ბურტონ პაიკის დაკვირვებით, მოდერნისტულ ლიტე-რატურაში... ამ ხელოვნურ“ სივრცეში ჩნდება პარადოქსული დამოკიდებულება – გარშემომყოფები და ქალაქი ერთდრო-ულად ნაცნობი და უცხოა. მარტოდარჩენილი ადამიანი ცდი-ლობს საკუთარი თავის განსაზღვრასა და მიმართების დად-გენას სხვებთან და ქალაქთან. „ადამიანი უმწეოა გარესამყა-როსთან, რადგან არ შეუძლია მისი შეცნობა, და თავის შინა-სამყაროსთანაც, რადგან არ შეუძლია მისი მართვა. მიკრო-კოსმოსიცა და მაკროკოსმოსიც წალეკვით ემუქრება მას“ (ქალაქის მითი ფრანგულ და ქართულ სიმბოლისტურ ესთე-ტიკაში, 2017).

მიხეილ კობახიძე „ქორნილში“ მთავარ გმირთან ერთად მთელ თბილისში მოგზაურობს, თუმცა მოქმედების განვი-თარებასთან ერთად, ხაზგასმით აფიქსირებს ერთი და იგივე ადგილებსა და ერთი და იგივე სახლებს, რომლებიც გმირს ყოველ დღე გზად ხვდებიან,

მოქმედება ელდარ შენგელაიას „არაჩვეულებრივ გამო-ფენაში“ ქუთაისისა და ბათუმში ხდება, როგორც ქუჩებში, ასევე, ისტორიულ ნაგებობებთან, ბაგრატის ტაძარსა და XVIII-XIX საუკუნეების არქიტექტურული ღირსებებით გა-მორჩეულ სახლების მიდამოებში.

გიორგი შენგელაია „ალავერდობაში“ ალავერდის ტა-ძარს, ერთი მხრივ, როგორც ტაძარს, ყველა შინაარსობრივი თუ ფუნქციური არსის საჩვენებლად იყენებს, მეორე მხრივ,

იმ პანორამის, იმ მასშტაბის მეტაფორულად გამოსახატად, რომელიც ფილმის მთავარ იდეას წარმოადგენს.

60-იანელების ინტერესები ორი რეალობისკენ იხრება. ხშირად ქალაქი და მის საპირისპიროდ, სოფელი, ბუნება, ეს უკანასკნელი ტენდენცია საკმაოდ ძველია და XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისშიც აქტიურად გამოიყენება.

„ისევე, როგორც „ცისფერყანწელთა შემოქმედებაში ქალაქის საშინელების, ანუ მატერიალური სამყაროს მიკრომოდელის ანტითეზად სოფელი გვევლინება. ქალაქის ქაოსს, ხმაურს, ჭუჭყს სოფლის წესრიგი, სიწყნარე, სიწმინდე უპირისპირდება“ (ქალაქის მითი ფრანგულ და ქართულ სიმბოლისტურ ესთეტიკაში, 2017)

80-იან წლებში დამოკიდებულება ცხოვრებისადმი ამგვარი მიდგომისა და ასეთი აღქმა შეიცვალა. ახალი თაობის ფილმებში მთლიანად გაქრა თბილისი (რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი) როგორც „ცოცხალი“ ქალაქები. ნაცნობი და სპეციფიკური არქიტექტურული ნიშნებითა და მახასიათებლებით. ახალ გმირებთან ერთად (რომლებმაც 60-იანელთა ინტელიგენცია, ძველი არისტოკრატია ან მათი თანამედროვე შთამომავლები ჩაანაცვლეს), მოქმედების ადგილების, საცხოვრებლებისა და ქალაქის სახეებიც შეიცვალა.

80-იანელები საზოგადოების დაბალი ფენის, ე.წ. ფსკერის ადამიანებითა და მათი ცხოვრებით დაინტერესდნენ. შესაბამისად, მოქმედებს ადგილებმა ქალაქის ცენტრალური ქუჩებიდან, ნაცნობი ადგილებიდან გარეუბნებში გადაინაცვლეს და სამყარომაც სახე და ფერი იცვალა. გამოსახულება, აღწერილობები საერთო, საყოველთაო, მკვეთრ ინდივიდუალობას მოკლებულ სამყაროს მეტაფორად იქცა.

„მეგაპოლისში სოციალურობის ყველა ელემენტია წარმოდგენილი, ისინი იდეალურ კომპლექსში არიან თავმოყრილნი: სივრცითი სიახლოვე, ურთიერთქმედებისა და ურთიერთგაცვლის სიადვილე, ნებისმიერ დროს ინფორმაციის

ხელმისაწვდომობა. მაგრამ აი, რა ხდება: ყველა ამ პროცესის დაჩქარება და ინტენსიფიკაცია ინდივიდებში გულგრილობა-სა და დაბნეულობას შობს“ (ბოდრიარი, 2017)

საუბარია ფილმებზე, რომლებშიც მოქმედება რეალისტურ, მაქსიმალურად „ნამდვილ“ გარემოში ხდება – ალეკო ცაბაძის „ლაქა“ და „ლამის ცეკვა“, თემურ ბაბლუანის „ბელურების გადაფრენა“, მარინე ხონელიძის „ოთახი“, ნანა ჯორჯაძის „დავვეხმარეთ იალბუზზე ასვლაში“, დიტო ცინცაძისა და ლევან ერისთავის „აქეთ მაშხალები, კვაზიმოდო!“, დავით ჯანელიძის „მდგმურები“, ტატო კოტეტიშვილის „ანემია“ და სხვები.

აქ „ტრადიციული“ თბილისი უსახური ხდება, სამაგიეროდ, ახალ სახეს იძენს, თითქოს ახალ განზომილებაში გადადის და საზოგადოების არა სოციალურ თუ ფიზიკურ, არა-მედ, პირველ რიგში, სულიერ მდგომარეობას, მის ადგილს საზოგადოებაში, გარიყულობასა და მიუსაფრობას გამოხატავს.

ინყება გმირების ხეტიალი უსახურ ქალაქებში, რომლებიც, ფაქტობრივად, აღარ ატარებენ აღარც დროის ნიშნებსა და აღარც, ვთქვათ, ეროვნულს. ასეთი ქალაქები ყველგან არსებობენ და კონკრეტული დროის ჩარჩოებში არ ექცევიან.

ტატო კოტეტიშვილის ფილმში „ანემია“ (1986) მოქმედება საექსპიზიციო ნაწილში თბილისში ხდება. შემდეგ, მოვლენების განვითარების მიხედვით, მთაში ინაცვლებს, და კონკრეტულად, მთებში, თოვლში ჩაფლულ სოფლის სკოლაში. ჩაკეტილი სივრცე სამყაროს მიკრომოდელია, რომელიც რეალობის ბუნებრიობიდან მომდინარეობს, მაგრამ უფრო ფართომასშტაბიან სინამდვილეს გამოხატავს – საბჭოთა სისტემის, რეჟიმისა და ტერორის არსებობას.

ზეანეული ტემპო-რიტმული მუსიკის თანხლებით, თეატრალური ფარდის ფონზე ტიტრები იწერება. უცბად სრული სიჩუმე მყარდება და ეკრანი მთლიანად თეთრდება. ასე ინყება თემურ ცავას „დეზერტირი“. შემდეგ, ყველაფერი ფოკუ-

სირდება და ქუჩის ბუნდოვან გამოსახულებაში გადადის. შემდეგ სიმკვეთრე მატულობს. საგნები არა სიბნელიდან, არამედ სინათლიდან ამოდიან. მკაფიო ფერსა და მოცულობას იძენენ. ქუჩა ცოცხლდება. დადიან გამვლელები, მანქანები. კამერა უკან იხევს – ძალიან ნელა, თითქმის შეუმჩნევლად. ხედი იცვლება. პანორამა იზრდება და ზედხედში გადადის. კინოპარატი უკუსვლით რიკულებს გაივლის, რომლებიც თავიდან ისევე ბუნდოვნად ჩანან, როგორც სხვა საგნები, კადრში პირველად მოხვედრისას. შემდეგ ქუჩას პატარა აივნიდან გადავყურებთ, რომელიც იმ ოთახის მიღმა არსებობს, სადაც „ვიმყოფებით“.

ოთახისა და ქუჩის პანორამები იმის დანახვის საშუალებას იძლევიან, რაც ცხოვრებისეული „პროზის“ მიღმაა. პრობლემა და ერთი კაცის ბედი ცილდება ამ ქალაქისა თუ ფილმის ჩარჩოებს. „პროზა“ „ნარმოსახვად“ იქცევა.

კვლავ აქტიური რჩება გზის მეტაფორა, თუმცა ასახვის მიმართულება და ფორმა იცვლება. თუ 20-იან და 60-იან წლებში, გზას მიზანიც ჰქონდა და საბოლოო პუნქტიც, ასე თუ ისე, განსაზღვრული იყო, 80-იანელებთან და 60-70-იანელების 80-იანებში გადაღებულ ფილმებში, ახალი მეტაფორა ჩნდება – გზა არსაით, უგზოობის გზა, რომელსაც არც მიმართულება აქვს და არც დანიშნულების, თუნდაც, ბოლო სადგური. წასასვლელი არსაითაა და ახალგაზრდები სამუდამოდ რჩებიან იმ ჩარჩოებში, რომლებშიც საკუთარი უსუსურობისა და სხვების ძალადობის შედეგად მოექცნენ, როგორც – ოთარ ლითანიშვილის „ტერანგსა“ და „ნადირობაში“, გოდერძი ჩოხელის „ბაკურხეველ ხევსურში“, ალეკო ცაბაძის „ლაქასა“ და „ლამის ცეკვაში“, თემურ კვანტალიანის „ბიძინაში“, ალექსანდრე რეხვიაშვილის „საფეხურში“, გიორგი შენგელაიას „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობაში“, თემურ ბაბლუანის „ბეღურების გადაფრენასა“ და „ძმაში“, ნანა ჯორჯაძის „რობინზონიადაში“, ირაკლი კვირიკაძის „მოცურავეში“ და სხვებთან ხდება.

„ამ მეორადი მდგომარეობის მოდელად (როცა საყოველ-თაო გულგრილობის ატმოსფეროში ყველა თავის ორბიტაზე მოძრაობს, როგორც თანამგზავრი) ტრანსპორტის მაგალი-თი გამოდგება. სამოძრაო გზები აქ არასდროს კვეთენ ერ-თმანეთს, თქვენ აღარავის ხვდებით, რადგანაც ყველას მოძ-რაობას ერთიდაიგივე მიმართულება აქვს; ასე, მანქანის სა-ქარე მინიდან მხოლოდ ერთი მიმართულებით მოძრავი მან-ქანები ჩანს. შესაძლოა სწორედ ამაში მდგომარეობს კომუ-ნიკაციის არსი? – ესაა ცალმხრივი თანაცხოვრება. მისი ფა-სადის მიღმა სულ უფრო მზარდი გულგრილობა და ნებისმი-ერი სახის სოციალური კავშირის უარყოფაა დაფარული“ (ბოდრიარი, 2017).

80-იანების ფილმებში არის რეალობიდან, მოცემუ-ლობიდან თავის დაღწევის, გამოსავლის ძიების მცდელო-ბაც. ზოგი პერსონაჟი ხსნას საკუთარი თავიდან, საკუთარი სახლიდან თუ ქალაქიდან გაქცევაში ხედავს და გარბიან რე-ალურად თუ ოცნებებში კინოსურათების – „ბელურების გა-დაფრენის“, „მოგზაურობა სოპოტში“, „ოთახისა“ თუ „დაგ-ვეხმარეთ იალბუზზე ასვლაში“ გმირები.

თინათინ მენაბდე ფილმში „გამოუსწორებელი“ (ჯემალ თოფურიძის მოთხოვის მიხედვით) მოვლენებს მთავარ გმირ – ენვერას ცხოვრების გარშემო აგებს. სივრცე, რო-მელშიც მას არსებობა უხდება, სამ ზონადაა დაყოფილი. წრე, ქალაქი, რომელშიც ცხოვრობს, გარემომცველი სამყა-რო, რომელთანაც უხილავი, მაგრამ მძლავრი ბარიერი აშო-რებს, თუ აკავშირებს და ციხე, სადაც იძულებით ხვდება. ამასთან, სამივე „პუნქტი“ ერთი და იმავე კანონით ცხოვ-რობს, ერთი მეორის ანარეკლი და გაგრძელებაა.

რკინიგზის გადასასვლელ ხიდზე ახალგაზრდა კაცი მია-ბიჯებს. მატარებლის ხმაურში არეული მუსიკა, მოძრაობას-თან ერთად თავისებურ რიტმულ წყობას ქმნის და ამ დინამი-კური მარშით შევდივართ პატარა, 50-იანი წლების პროვინ-ციული ქალაქის ცხოვრებაში. შემდეგ ეს ხიდი კიდევ ერ-

თხელ ექნება ჭაბუკს გადასავლელი, უკვე ფილმის ფინალში, როდესაც დასრულდება მისი ცხოვრების ერთი ეტაპი, როდესაც შავლაბადიანი კაცები ავის მაუწყებლად გამოჩნდებიან და საბოლოოდ თავისუფლებას აკარგვინებენ მას.

ერეკლე ბადურაშვილის ფილმი რეზო ჭეიშვილის მოთხოვნის „მხატვარი იაშა“ მიხედვითაა გადაღებული. მოქმედების დრო 50-იანი წლებია, რაც საშუალებას აძლევს რეჟისორს, საერთო, მკვეთრად ნიშანდობლივი ატმოსფეროს დახმარებით, მძაფრი აქცენტები დასვას და პრობლემა საფუძველშივე ამოატრიალოს, გამომწვევ მიზეზებზე ისაუბროს.

გოდერძი ჩოხელის ფილმის „ადამიანთა სევდა“ (ისევე, როგორც მისი ყველა კინოსურათის) სამოქმედო ტერიტორია – გუდამაყარია. რეჟისორი სამყაროს მიკრომოდელს ქმნის. სოფლების დაცარიელება საზოგადოების მოსალოდნელი კატასტროფის სურათია. სიკვდილ-სიცოცხლის, ბედნიერების, ილპალისა და სხვა მარადიულ პრობლემათა კვლევა დროისა და ადგილის მიუხედავად – ყველაზე მწვავე და მნიშვნელოვანი. ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი ყოფის, სულიერი სამყაროს ჩვენება და, რაც ყველაზე მთავარია (როგორც ბოლოს გავიგებთ), რასაც ომის საშინელების, უაზრობის პრობლემა ემატება.

90-იანი წლებიდან, როდესაც ომი არა წარმოსახვად, არამედ რეალობად იქცა, რეჟისორების ყურადღება ძირითადად თბილისისკენაა მიპყრობილი და იმვიათად, საქართველოს სხვა ქალაქებისკენ. თბილისის „სურათების“ კინოასტები კვლავ იცვლება. პლასტიკურ, ვიზუალურ შრეზე გამოხატული დრო საერთოდ კარგავს კონკრეტიკას, ქალაქები და მათი კონტურები – განზომილებებს და პირობითი და ბუნდოვანი ხდება.

მიხეილ კალატოზიშვილის (უმცროსი) ფილმში „რჩეული“ მოქმედება პირობით სამყაროშია გადატანილი და მითურ რეალობაში მიმდინარეობს. თუმცა, სრულად აშკარაა, რომ

მოვლენები საქართველოში, ქალაქებსა და სოფლებში, მათ შემოგარენში ვითარდება და კონკრეტულად, 90-იანი წლების დასაწყისის მოვლენების დროს. იგივეა ზაზა ილურიძის კინოსურათში „ჟამი“, იმ განსხვავებით, რომ ამბავი ბუნების პირქუში პეიზაჟების გარემოცვაში იშლება და ქალაქი საერთოდ არ ჩანს. ორივე რეჟისორი ამბავს უკიდურესად გაუცხოებულ შრეზე აწყობს.

2000-იანი წლები უკვე შერეული, პოსტმოდერნისტული, რეალისტური და ა.შ. კინოს წლებია. თბილისი თუ საქართველოს სხვა ქალაქები სრულიად სხვადასხვაგვარად და არაერთი ფორმით აღიბეჭდებიან ეკრანზე.

თუ, ვთქვათ, ლევან თუთბერიძის „გასეირნება ყარაბაღში“ თბილისის ორმაგ სახეს აჩვენებს – სპეციფიკურს, ნაცნობსა და თან უცნობს, ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „გრძელი ნათელი დღეები“ – 80-იანელთა ფილმების ტრადიციას აგრძელებს და მისი საზოგადოების პორტრეტი ქალაქის უცნობი შტრიხებით იქმნება.

„ყველა დადებითი სწრაფვა, მათ შორის სოციალურობისკენ ლტოლვა, ინვერტირდება და უარყოფით „ლტოლვად“, ანუ გულგრილობად იქცევა. ლტოლვა ზიზღით იცვლება. საყოველთაო კომუნიკაციის ატმოსფეროში, ინფორმაციული სიჭარბის, ყოფიერების გამჭვირვალობისა და გამჭოლობის, პრომისკუიტეტის პირობებში, ადამიანის დამცავ ძალებს საშიშროება ემუქრებათ. სიმბოლური სივრცე უკვე აღარაფრითად დაცული. როცა ტექნიკისთვის ხელმისაწვდომი ხდება აბსოლუტურად ყველაფერი. მე უკვე ვეღარ ვარჩევ, რა არის სასარგებლო და რა არა; არადიდერენცირებულ სამყაროში მე ვერ გადავწყვეტ, სადაა მშვენიერება და სად სიმახინჯე, ცუდი და კარგი, ორიგინალური და მოძველებული“ (ბოდრიარი, 2017).

გიორგი ოვაშვილი ორი სამყაროს – რეალური და წარმოსახვითი – რეალობად ქცეული და უკვე, სამწუხაროდ, ნაცნობი თბილისის სახეს (დევნილთა თავშესაფრები, გაპარტა-

ხებული ადგილები, ქაოტური ბაზრობები და ა.შ.) და პირობითად, დღევანდელ, განაგურებულ თბილისა და აფხაზეთს ასახავს ფილმში „გაღმა ნაპირი“.

მისი მომდევნო ფილმის „სიმინდის კუნძული“ (აფხაზური ტრილოგიის მეორე ნაწილი) მოქმედება აფხაზეთის ომის საწყის პერიოდში ხდება. აფხაზეთში. მდინარე ენგურზე. პატარა კუნძულზე. მთელი სამყარო ტრიალებს მის გარშემო. მიწა, რომელიც სამყაროს მიკრომოდელად აღიქმება. წყალი, რომელიც ბადებს, ქმნის, განწყობს და კლავს.

„სიმინდის კუნძული“ ცდება კონკრეტულ თემასა და წრეს და სამყაროს მიკრომოდელად იქცევა. პერსონაჟების თავგადასავალი – ადამიანების ისტორიებად ზოგადდება – ომისა და მშვიდობის პერიოდში, წარსულსა და ანმყოში, ძალადობისა და მტრობის გარემოცვაში. ყველგან დედამიწაზე (რომელსაც ადამიანები ვერ იყოფენ და რომელიც, სინამდვილეში – ყველასია!) როგორც ნებისმიერ იგავს, „სიმინდის კუნძულს“ განსაზღვრული დრო და გეოგრაფიული საზღვრები არ გააჩნია.

ლევან თუთბერიძის ფილმში, „ზღაპრული“ სახელწოდებით, „ცხრა მთას იქით“ ეთნოლოგების ჯგუფი საქართველოს მაღალმთიან სოფელში მორიგ ექსპედიციაში მიემგზავრება. მთებით გარშემორტყმული და მწვანეში ჩაფლული, მინდვრები, მდელოები, მდინარე და არაფრით გამორჩეული სახლები და სამეურნეო ნაგებობები პასტორალურ, იდილიურ სურათებს ქემნიან.

სოფელს სახელი არა აქვს და არც რაიმე განსაკუთრებული კუთხეური და ეგზოტიკური ნიშნებით ხასიათდება. პერსონაჟები – მსახიობები არ მეტყველებენ რომელიმე ქართულ დიალექტზე და არც რომელიმე რეგიონისთვის დამახასიათებელი, ვთქვათ, ფაქტურითა თუ ჩაცმულობით გამოირჩევიან. ასეთი ადგილი ყველგან შეიძლება შეგვხვდეს, როგორც საქართველოს მთიანეთში, ასევე სამყაროს ნებისმიერ წერტილში, სადაც ადამიანები, ერთი მხრივ, საკუთარ საზო-

გადოებაში ჩაკეტილები, წარსულზე, მორალურ-ფსიქოლოგურ წესებზე, „რეალურად“ არსებულ გადმოცემებზე მიჯაჭვულები და მეორე მხრივ, ლაღად, უსაზღვრო სივრცეში გაშლილები ცხოვრობენ. მითების, ლეგენდების, თქმულებების რეალობადქცეულ გარემოცვაში.

ლევან კოლუმვილის „ქუჩის დღეები“ და „შემთხვევითი პაემნები“, ზაზა რუსაძის „ჩემი საბნის ნაკეცი“, თამარ შავგულიძის „კომეტები“, ლევან აკინის „და ჩვენ ვიცეკვეთ“, ნუცა ალექსი-მესხიშვილის, ლანა ლოლობერიძის „ოქროს ძაფი“ – დაბრუნებაა 60-იანებთა თბილისური ინტელიგენციის ოჯახებთან, იმ განსხვავებით, რომ გარემომცველი ქალაქი და არქიტექტურა, არა წარსულის მშვენიერი სურათების გამოძახილი, არამედ ნახევრად განადგურებული და უსახური ქალაქების, შესაბამისად, საზოგადოების სახეს ქმნის, რომელიც, ერთი მხრივ, მაღალსართულიან ბლოკებშია გამოწყვდეული, სტანდარტულ ინტერიერებში და მეორე მხრივ, ადამიანების დაკარგულობის, ნორმალურ გარემოში ცხოვრების შეუძლებლობის, მატერიალური და სულიერი კრიზისის ყველა ნაკეცს, ღარსა და ნაოჭს ატარებს.

დღევანდელი თბილისი თუ ქვეყნის სხვა დასახლებების მხატვრულ სახეები ქართულ კინოში კიდევ უფრო დაუახლოვდნენ საზოგადოების, ადამიანების ცხოვრების წესს, მათი ბედისა და ხასიათების ვიზუალურ სიმბოლოებს. ისინი საზოგადობის უახლესი ისტორიისა და შინაგანი მდგომარების იდენტურია. მის ბევრ ნიშანს, მესიჯსა და კოდურ სისტემას შეიცავებ.

ქართული ფილმები იმ მხრივაც იქცევიან ისტორიის აღმნერად, რომ დროსა და ეპოქის ნიშნებთან, სახელოვნებო პროცესების გამომხატველობასთან ერთად იმ ადგილებს, ქუჩებს, სახლებს „ინახავენ“, რომელთა დიდი ნაწილი აღარ არსებობს და მათთან ერთად აღარ არსებობს ცხოვრების ის მხარეც, რომელიც თითოეული ჩვენგანის – ერის წრასულის

ნაწილს წარმოადგენდა. დრომ მეტაფორების ახალი, გარე სისტემებიც აამუშავა.

„ერნსტ კასირერმა ამიტომაც მიიჩნია ენა, რელიგია, ხელოვნება, მითოსი სამყაროს სიმბოლურ წარმოდგენებად, რომელთაც ყოველი ენობრივი წრე, ეთნოსი და რელიგია განსხვავებული ბერებით, განსხვავებული სიტყვებით გადმოსცემს, თუმცა არსი ერთია. არსის უცვლელობა იძლევა თარგმანის საშუალებას. ადამიანი ცხოვრობს არა მხოლოდ რეალურ, არამედ – სიმბოლურ სამყაროშიც. ამ სიმბოლოებით ქმნის კულტურასა და ცივილიზაციას. დღეს მას ერთვის კომპიუტერის ვირტუალური სივრცე. მითს მნიშვნელობა ეძლევა მხოლოდ სიმბოლური ახსნის შემდეგ, სხვაგვარად იგი მარტივი ან ფანტასტიკური ამბავია. მითში აზრს ჩვენ როდი ვდებთ. უძველეს დროშივე, როცა მითი იქმნებოდა, იგი სწორედ სიმბოლური აზრით ითხზვებოდა. შემდეგ მითები რელიგიებმა გამოშიგნეს და აზრი დაუკარგეს, სიმბოლო წაართვეს. მხოლოდ მოგვიანებით დაუბრუნეს მითებს პირველადი, ინსტინქტური, პოლივალენტური აზრი“ (სიგუა, 2022).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოდრიარი ჟ., ქალაქი და სიძულვილი, თარგმნა მ. ხარბედიამ, „არილი“, 2017, <https://ekasharashidze154.blogspot.com/2017/11/blog-post-89.html>
2. არჩვაძე თ., ინტერვიუ ჯიმშერ რეხვიაშვილთან, ქალაქი, როგორც სიმბოლო, 11.12.2021, <http://arilimag.ge>
3. სიგუა ს., ნიშანი და სიმბოლო, „აფინაჟი“, 16.12.2022, <https://apinazhi.ge/journal/488--.html25>
4. ქალაქის მითი ფრანგულ და ქართულ სიმბოლისტურ ეს-თეტიკაში, 07.10.2017, <https://bluehornsblog.wordpress.com>